PwC საქართველო
საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

23 აპრილი 2019

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ N996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმება

2019 წლის 29 მარტს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეზე გამოქვეყნებული ცვლილებების მიხედვით:

- გადასახადის გადამხდელს შეუძლია განცხადებით მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნით, თუ ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
    - ნებაყოფლობით გატარდა რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად;
    - რეგისტრაციის დღიდან არ გასულა 30 კალენდარულ დღეზე მეტი;
    - არ დასტურდება ანგარიშ-ფაქტურის გატანა-გამოწერის ფაქტი;
    - არ არის წარდგენილი დღგ-ის დეკლარაცია.
- აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად, შეიცვალა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრაციის გაუქმების შესახებ განცხადების ფორმა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 22 აპრილი

კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

საქართველოს პარლამენტს პირველი მოსმენისთვის წარადგინა კანონპროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა

- მოსალოდნელი ცვლილების თანახმად, დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობა განისაზღვრება, როგორც საქმიანობა, რომელიც მოიცავს ერთ-ერთს მაინც ქვემოთ ჩამოთვლილი მოქმედებებიდან:
  - შეთავაზება დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების დადების მიზნით;
  - დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების დასადებად მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, ხელშეკრულების დადების ორგანიზება;
  - დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულებების დადება მზღვეველის/გადამზღვეველი კომპანიის სახელით;
  - დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით სადაზღვევო შემთხვევიდან გამომდინარე ზარალის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების პროცედურების ადმინისტრირება;
  - მზღვეველის/დამზღვევის მიერ განსაზღვრულ ფარგლებში დაზღვევის/გადაზღვევის ხელშეკრულების შესრულების ხელშეწყობა სადაზღვევო პრემიის შეკრების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის უფლების ჩათვლით;
- დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობას ახორციელებენ სადაზღვევო ბროკერები და დაზღვევის აგენტები;
- მზღვეველს შეუძლია სადაზღვევო საქმიანობა, როგორც უშუალოდ, ასევე დაზღვევის აგენტის/ბროკერის მეშვეობით;

სადაზღვევო ბროკერის საფირმო სახელწოდება

- სადაზღვევო ბროკერის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვებს „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვების გამოყენებით სხვა სიტყვათწყობას;
- არავის არ აქვს უფლება, სახელწოდებაში გამოიყენოს სიტყვა „სადაზღვევო ბროკერი“ ან ამ სიტყვის გამოყენებით სხვა სიტყვათწყობა სამსახურის მიერ დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე;

სადაზღვევო ბროკერის რეგისტრაცია

- სადაზღვევო ბროკერს დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის დაწყების უფლება აქვს სათანადო რეგისტრაციის შემდეგ;
- დაზღვევის სფეროში საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე სადაზღვევო ბროკერი

ვალდებულია ფლობდეს სამსახურის მიერ დადგენილი კაპიტალის/საგარანტიო ფონდის მინიმალურ ოდენობას, რომელიც უნდა იყოს განთავსებული საქართველოში ლიცენზირებულ საბანკო დაწესებულებაში/დაწესებულებებში ამ მიზნით გახსნილ განცალკევებულ ანგარიშზე/ანგარიშებზე;

სადაზღვევო ბროკერის ფინანსური სიმყარის უზრუნველყოფის პირობები

- სადაზღვევო ბროკერი საშუამავლო საქმიანობის განხორციელების ნებისმიერ ეტაპზე ვალდებულია ფლობდეს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევას;
- სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია საშუამავლო საქმიანობის განხორციელებისას განცალკავებულად აწარმოოს საკუთარი და მომხმარებლისათვის განკუთვნილი ანგარიშები საქართველოში ლიცენზირებულ კომერციულ ბანკში. დაუშვებელია მომხმარებლის ანგარიშზე არსებული თანხის გამოყენება გარდა მათი მზღვეველისათვის სადაზღვევო პრემიის სახით, ხოლო დაზღვეულისათვის სადაზღვევო ანაზღაურების სახით გადაცემისა;
- მომხმარებლისთვის განკუთვნილ ანგარიშზე არსებული სახსრები არ შედის სამეურვეო ქონებაში და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. ამასთან, აღნიშნულ ანგარიშთან დაკავშირებით არ უნდა იქნეს გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები და იძულებითი აღსრულების მექანიზმები.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 2019 წლის 22 აპრილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების პროექტი „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბრძანების პროექტი, რომლითაც იგეგმება ცვლილებების შეტანა „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2016 წლის 23 დეკემბრის №151/04 ბრძანებაში.

სესხის გამცემი სუბიექტი	• ცვლილების თანახმად, ბრძანებით გათვალისწინებული მოთხოვნები აგრეთვე გავრცელდება სესხის გამცემ სუბიექტზე, რომელიც ჩაითვლება ფინანსურ ინსტიტუტად;
ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები დაზღვევის მოთხოვნისას	• თუ სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის გაცემისთვის, ფინანსური ორგანიზაცია სავალდებულოდ ითხოვს იპოთეკის და/ან გირავნობის საგნის და/ან მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევას, ის ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს მინიმუმ ხუთი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის პროდუქტის ალტერნატივა;
კრედიტის/დეპოზიტის პროდუქტის რეკლამირება	• თუ კრედიტის/დეპოზიტის ფასის განმსაზღვრელი რომელიმე პარამეტრი მიბმულია საჯარო ინდექსზე, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს, რომ აღნიშნული პარამეტრი მიბმულია საჯარო ინდექსზე; • თუ რეკლამირების/შეთავაზების შემთხვევაში ვერბალურად ხდება საფინანსო პროდუქტის ფასის განმსაზღვრელი ნებისმიერი პარამეტრის გაჟღერება, უნდა გაჟღერდეს ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთიც; • ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია რეკლამაში/შეთავაზებაში მიუთითოს მხოლოდ ეფექტური საპროცენტო განაკვეთი; • ფინანსურ ორგანიზაციასთან და მომხმარებელთან დაცულ ხელშეკრულებებს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა;
ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულებები	• მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მიაწოდოს: ➢ ინფორმაცია მიმდინარე ანგარიშის, ასევე, საკრედიტო და სადეპოზიტო საფინანსო პროდუქტების თაობაზე ამონაწერის სახით. მინიმუმ თვეში ერთხელ, მაქსიმუმ ბოლო ორი წლის პერიოდის ამონაწერის გაცემა უნდა იყოს უფასო; ➢ ცნობა დავალიანების შესახებ; • ზედა პუნქტში მითითებული ინფორმაციის ოფიციალურ ბლანკზე განთავსების შემთხვევაში, ფინანსურ ორგანიზაციას უფლება აქვს დააწესოს საკომისიო. ასეთ შემთხვევაში, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მომხმარებელს შესთავაზოს ინფორმაციის გაცემა შესაბამისი უფასო

ალტერნატივის სახით;

სპეციფიკური საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულება

- სპეციფიკურ საფინანსო პროდუქტის ხელშეკრულებაში ფინანსურმა ორგანიზაციამ, მათ შორის, უნდა მიუთითოს:
  - სრულყოფილი ინფორმაცია იმ კოვენანტების შესახებ, რომელთა შეუსრულებლობის შემთხვევაში ფინანსური ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს/ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება და/ან მისი ნებისმიერი პირობა;
  - დავების გადაწყვეტის წესი;
  - ინფორმაცია კრედიტის უზრუნველსაყოფად წარმოდგენილი გირავნობის საგნის გადაგირავების შესახებ (თუ ასეთი არსებობს). ამასთან, აღნიშნული ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ხელშეკრულების თავსართშიც;

მოთხოვნები იპოთეკით/ გირავნობით/თავდებობით უზრუნველყოფილი სპეციფიური საფინანსო პროდუქტის მიმართ

- თუ მომხმარებელი და მის მიერ აღებული/ასაღები კრედიტის უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრე სხვადასხვა პირია და/ან ვალდებულება უზრუნველყოფილია თავდებობით, დაუშვებელია ასეთი თავდებობით/იპოთეკით/გირავნობით გენერალური ხელშეკრულების უზრუნველყოფა. ასეთ შემთხვევაში, თავდებობა/იპოთეკა/გირავნობა უნდა გაფორმდეს ყოველ ცალკეულ კრედიტზე;
- ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია თავდებობის მონაწილე მხარისათვის, ასევე იპოთეკის/გირავნობის საგნის მესაკუთრისათვის ხელმისაწვდომი გახადოს მსესხებელთან გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულების თავსართის და ხელშეკრულების ასლები და აღნიშნული ვალდებულების თაობაზე წინასწარ წერილობით აცნობოს მსესხებელს;

განხორციელებული შენატანებისა და გამოტანების დეტალური ამონაწერი

- ფინანსური ორგანიზაციების მიერ გაცემული ამონაწერი, მათ შორის, უნდა უთითებდეს კრედიტზე განხორციელებული ყოველი შენატანიდან თანხების გადანაწილებას პროცენტის, პირგასამტეხლოს, ფინანსური ორგანიზაციის მიერ დაწესებული სხვა გადასახდელებისა და ძირითადი თანხის მიხედვით;
- მოქმედი ხელშეკრულებებისათვის, ასევე ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მოქმედების დასრულებიდან/შეწყვეტიდან არ გასულა 2 წელი, მინიმუმ წელიწადში ერთხელ წინა პუნქტში მითითებული ამონაწერის გაცემა უნდა იყოს უფასო;

ფინანსური ორგანიზაციის ვალდებულება შესთავაზოს მსესხებელს ახალი გრაფიკი

- კრედიტის წინმსწრებით ნაწილობრივ დაფარვის დროს, თუ იფარება კრედიტის საწყისი ძირითადი თანხის მინიმუმ 20%, არანაკლებ 500 ლარის ოდენობით, ფინანსური ორგანიზაცია ვალდებულია მას შესთავაზოს ახალი გრაფიკის მინიმუმ შემდეგი ალტერნატივები:
  - ნარჩენი ძირითადი თანხის გადანაწილება იმავე პერიოდზე ყოველთვიური შენატანის შემცირების გზით;
  - ყოველთვიური შენატანის იმავე ოდენობის პირობებში დარჩენილი პერიოდის შემცირება;

მომხმარებლის პრეტენზია

- ბრძანების თანახმად, პრეტენზიად მიიჩნევა მომხმარებლის ნებისმიერი განცხადება (ზეპირი ან წერილობითი), რომლითაც იგი გამოხატავს თავის უკმაყოფილებას/საჩივარს საფინანსო ორგანიზაციის და/ან მისი ნებისმიერი პროდუქტის მიმართ. ამასთან, სატელეფონო არხით მიღებული პრეტენზია, რომელიც საჭიროებს შემდგომ განხილვას, არ განიხილება ზეპირი ფორმის პრეტენზიად.

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, 2019 წლის 22 აპრილი

კანონპროექტი "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე"

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის პირდაპირი წესი

საქართველოს პარლამენტს პირველი მოსმენისთვის წარედგინა კანონპროექტი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე".

- მოსალოდნელი ცვლილების თანახმად, საქართველოს მთავრობის თანხმობის შემთხვევაში, ლიცენზია პირდაპირი წესით შესაძლოა გაიცეს შემდეგ შემთხვევებში:
  - წყალმომარაგების ლიცენზიანტზე - მომხმარებელთა წყალმომარაგების (სასმელი წყლით) უზრუნველყოფის მიზნით მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოსაპოვებლად;
  - ტურისტული და რეკრეაციული მიზნებისათვის სამკურნალო ტალახის ან/და გარეგანი მოხმარების (სამკურნალო აბაზანები) მიწისქვეშა მინერალური წყლების მოპოვებისათვის;

- კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მიწისქვეშა მტკნარი წყლის სამეწარმეო მიზნით მოპოვებისათვის წელიწადში არაუმეტეს 5 000 კუბური მეტრის მოპოვების უფლებით.

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 2019 წლის 22 აპრილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ საფოსტო და საკურიერო მომსახურების შესყიდვა შპს „საქართველოს ფოსტისგან", სახელმწიფო შესყიდვების კანონის მოქმედების გარეშე

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა შპს „სკს" საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებული იყო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის დებულებები.

- გასაჩივრებული ნორმის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონი არ ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან" საფოსტო და საკურიერო მომსახურებების სახელმწიფო შესყიდვაზე.

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ სამეწარმეო თავისუფლების შეზღუდვა სახეზეა მაშინ, როდესაც საბიუჯეტო სახსრების გამოყენებით სახელმწიფო რომელიმე ეკონომიკურ აგენტს შერჩევითად ანიჭებს სარგებელს, რითაც გავლენას ახდენს კონკურენციაზე ან წარმოშობს ამგვარ საფრთხეს.

- საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან: ა) შპს „საქართველოს ფოსტა"-ს არ ევალება ხელმისაწვდომ ფასად გაუწიოს მოსახლეობას საფოსტო და საკურიერო მომსახურება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე; ბ) არ არსებობს შესაბამისი საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭირო ეკონომიკური ხარჯების გამოთვლის გამჭვირვალე/ ობიექტური პარამეტრები; გ) არ გამოირიცხება შპს „საქართველოს ფოსტისთვის" იმაზე მეტი სარგებლის მინიჭება, ვიდრე ეკონომიკური ხარჯებისა და გონივრული მოგების ასანაზღაურებლად იქნება საჭირო.

- შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის ის დებულება, რომლის მიხედვითაც კანონის მოქმედება არ ვრცელდება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ შპს „საქართველოს ფოსტისაგან" საფოსტო და საკურიერო მომსახურებების

სახელმწიფო შესყიდვაზე. აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდება 2020 წლის 1 მაისიდან.

სამეურვეო ქონების გადასვლა სახელწმიფო საკუთრებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა შპს „ტიფლისი 777“ საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებული იყო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის დებულებები.

- დასახელებული ნორმა არეგულირებს იმ სამეურვეო ქონების სამართლებრივ ბედს, რომლის რეალიზაციაც მესამე აუქციონზეც ვერ მოხდა ან მესამე აუქციონის შემდეგ დარჩა სამეურვეო ქონების ნაწილი. გასაჩივრებული ნორმის თანახმად, ასეთი ქონების გადაცემაზე კრედიტორები იღებენ შეთავაზებას და თუ დადგენილ ვადაში ქონების საკუთრებაში მიღების შესახებ განცხადებას არც ერთი კრედიტორი არ წარადგენს, ქონება მიექცევა სახელმწიფო საკუთრებაში.

- საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით დასახელებული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, რადგან: ა) არ უკავშირდება კორუფციული და თაღლითური სქემების პრევენციას; ბ) ქონება სახელწმიფოს საკუთრებაში გადადის იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ გაკოტრების საქმის წარმოება არ არის დასრულებული და სუბიექტის რეგისტრაცია არ გაუქმებულა, ამდენად ნორმას არ აქვს ბრუნვაუუნარო სუბიექტების განდევნის მიზანი; გ) გასაჩივრებული ნორმა არ უზრუნველყოფს აღსრულების ეროვნული ბიუროს, როგორც მეურვის, მიერ გაწეული მომსახურების დანახარჯის ანაზღაურებას.

- შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის ის დებულება, რომლის მიხედვითაც ის სამეურვეო ქონება, რომლის რეალიზაციაც მესამე აუქციონზე ვერ მოხდა და რომლის საკუთრებაში გადაცემასაც კრედიტორები დადგენილ ვადაში არ მოითხოვენ, მიექცევა სახელწმიფო საკუთრებაში.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრება

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განიხილა ირაკლი ხვედელიძის საკონსტიტუციო სარჩელი, რომლითაც გასაჩივრებული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმები.

- დასახელებული ნორმის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული საქალაქო სასამართლოს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის

ვადაში.

- მოსარჩელეს მხარის პოზიციით გასაჩივრების 10 დღიანი ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო არა დადგენილების გამოტანის მომენტიდან, არამედ დასაბუთებული დადგენილების პირისათვის ჩაბარების მომენტიდან.

- საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით დასახელებული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და ადგენს გასაჩივრების უფლებისთვის ხელოვნურ ბარიერს რადგან: ა) პირს ართმევს შესაძლებლობას, გასაჩივრების ვადის გასვლამდე გაეცნოს დასაბუთებულ დადგენილებას, მისი შინაარსის მიხედვით გადაწყვიტოს, სურს თუ არა გასაჩივრება და წარადგინოს დასაბუთებული საჩივარი; ბ) გასაჩივრების ვადის დაცვის მიზნით, პირს უწევს დადგენილების მიღებიდან 10 დღის ვადაში წარადგინოს სააპელაციო საჩივარი არგუმენტაციის გარეშე და სათანადო არგუმენტაცია დაურთოს მხოლოდ დასაბუთებული დადგენილების ჩაბარების შემდეგ.

- შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. აღნიშნული ნორმა ძალადაკარგულად გამოცხადდება 2019 წლის 1 ივლისიდან.

წყარო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, 2019 წლის 22 აპრილი

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

სერგი კობახიძე
დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა
E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველოს **საგადასახადო მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

ვანო გოგელია
იურიდიული მომსახურება
E-mail: vano.gogelia@pwc.com
ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო **იურიდიული მომსახურების** ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შემავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაეყრდნოს ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.